

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარულ, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოგვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ღვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


შ ი ნ ა რ ს ი. სალიტურატურა განყოფილება: მწარე ფიქრები.—სამეურნეო სადგურის კურთხევა დ. ყვრილასი.—(მწყემსი)—ს კორრესპონდენცია შორაპნის მაზრიდამ.—† დეკანოზი იოანე ავაშიძე.—უბიწოება ცოლ-ქმრობაში.—პოეტს (დექსი).—დარიგება ზოლოტაზედ.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სახელმძღვანელო და საყურადღებო ცნობათა განყოფილება: დარიგება მხედველობის შენახვასა და თვალების მოვლაზე.—საეჭვო კითხვების განმარტება.—განცხადება.

მ წ ა რ ე მ ი ქ რ ი ბ ი.

მიღებულთა საზოგადოდ, რომ თავის წინამოადგილე მოსამსახურე, საზოგადოების მოღვაწე პირი აუგონ და თავის თავი იქონ ღ იდიდონ. ზოგიერთები ამ შემთხვევაში სწორედ წრეზე გადადიან. უველას უმტკიცებენ: ჩვენ რომ არ მოვსწრებოდით, ქვეყანა დაიქცეოდა და უველანი დაიდუკებოდნენო, მაგრამ ჩვენი დანიშნვის

შემდეგ საქმე ისე წავიყვანეთ, რომ საზოგადოებას უოველივე მოსალოდნელი ნიფათი ავაკდინეთ: აუშენებელი ადვაშენით, დანგრეული ადვადგინეთ ღ განვახდეთ, ხოლო დაწყებული დავახრუდეთო. გადის დრო. ნათქვამია: რომელი საწყაულით მიუწყეთ, იმავე საწყაულით თქვენ მოგეწყლათო. ამ მოსამსახურე პირის დათხოვნის ან სხვა ადგილზე გადაყვანის შემდეგ ინიშნება ახალი ბატონი. ეს ახალი ბატონი—უფროსი იხე ბრძენებს ღ იწერება, სადაც რიგია, თავის წინამოადგილეზე, როგორც მისი წინამოადგილე თავისაზედ.



ახალი უფროსიც ამბობს, რომ ჩემი წინამოადგილე კაპიკად არა ღირდა, რაც ვარ, მე ვარ, თორემ ჩემი წინამოადგილესაგან შემოდებული უველა წესები მოსაშლელი და გასაუქმებელიაო. მესულ სხვანაირად უნდა ვიმოქმედოო. გამოდის ანგარიშები, რომლებშიაც ნათქვამია: ჩემს მოსვლამდე ძლიერ ცუდი წესები იყო: მკურნაობა და ცეპული იყო, აკრძალვა, მტაცებლობა და ცრცვა-გლეჯა იყო გაკრძალული, მაგრამ, ღვთის შემწეობით, უკალიკი ქსეობა მოისპო. თუმცა ასე ამბობს ანგარიშის შემადგენელი, მაგრამ საქმით სულ სხვას ვნდავთ სამწუხაროდ. როცა ამისთანა შინაარსის ანგარიშებს კითხულობთ, ან კიდევ რომელიმე გაზეთში ფარისევლურად აზვიადებენ რომელიმე უფროსის მოქმედებას, გაოცებული შენს თავს ეკითხები: რა დრომდის იფარფარებ ჩვენს ხალხში და ღიბურატურაში ასეთი ფარისევლობა?.. სწორედ სიამოვნებით წავიკითხეთ პეტერბურდის ქალაქის უფროსის შემდეგი განცხადება: ვაცხადებ საზოგადოდ, რომ მეც სწორედ იმ გზას დავადგები ჩემს უფროსობის დროს, და იმ მიმართულების ვიქნები, რა გზასაც ადგა და იმ მიმართულებისაც იყო ჩემი წინამოადგილე ბ. გრესერიო. სწორედ საქების ეს ახალი უფროსი, მართლაც რა საჭიროა უდროვოდ თავის ქება დაიჭირე ადგილი, იწყე მოქმედება და შემდეგ თვითონ საზოგადოება დაათვათებს, შენ უფრო კარგად მოქმედებ, თუ შენი წინამოადგილე!..

* * *

ერთი ფრიად გასაოცარი და ძნელად დასაჯერი ამბავი წავიკითხეთ «საქართველოს მახარებელში». «ასე დაიდვა დასაწყისი, ვკითხულობთ ხსენებულს ქურნალში, ინგილოების ახალი მოქცევისა, გაქრისტიანებისა და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ საექსარხოლის მრავალ-გამოცდილი ხელმძღვანელი წაიკვანს საქმეს ისე გონივრულად და მიმხვედრობით, რომ ჩვენ მცირეს ხანში გვექმნება ბედნიერება, ვნახოთ ქრისტიანეთა ეკლესიები და მღვდლები თუ ზაქათალის ქართველების უველა სოფლებში არა, იმ ადგილებში მაინც, სადაც იყო ეკლესიები და მღვდლები 1863 წლამდე» («საქართველში» № 9, გვ. 28).

მთელს რუსეთს შეატყობინეს და გაავრცელეს

ნეს, რომ საქართველოში უველაფერი დაქცეული და დამნობილი იყო. მთიულებში ქრისტიანობა აღმოიფხრო და მღვდლები მოისპენო: მართებლობამ და საზოგადოებამ გამოიღვა თავი და 1860 წელში დაარსდა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებამ მილიონები დახარჯა დაქცეული ეკლესიების აღსადგენად და გამაჰმადიანებელ ქართველების გასაქრისტიანებლად. ხსენებულ ქურნალშივე წავიკითხეთ ამ საზოგადოების ანგარიში ამა წლისა. ამ ანგარიშში ნათქვამია: „იქ, სადაც მაჰმადის სწავლა უფლებდა, დღეს საზოგადოების მეოხებით ქრისტიანობა დამყარდა. იქ, სადაც მოთლების ხმა გაისმოდა, დღეს ჩვენი მღვდლები აქებენ უფალსა, იქ, სადაც ეკლესიის ხსენება არ იყო, დღეს მშვენიერი ტაძრები არის აგებულნი. მოისპო უოველი ამოღ-მორწმუნეობა და ქრისტიანობის სწავლა-მეცნიერება დაარსდა. კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების სკოლებმა ძირიანად ამოგლიჯეს უველა ცუდი და მავნე ჩვეულება მთელ ხალხში“. ესეა ვკითხულობთ ამავე ქურნალში: «იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მრავალ გამოცდილი საექსარხოლის ხელმძღვანელის მეოხებით და მუცადინეობით თუ უველა სოფლებში ვერ ვინილავთ ქრისტიანეთა ეკლესიებს და მღვდლებს, იმ სოფლებში მაინც მოვესწრებით მღვდლების და ეკლესიების ხილვას, რომლებშიაც იყო 1863 წ-დე». როგორ? კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების დაარსებამდე იქნენ ზაქათალის სოფლებში ეკლესიები და მღვდლები და ამდენი მისსიონერების დვაწლის შემდეგ დღეს აღარც ეკლესიები და აღარც მღვდლებია? სწორედ ვერ გაგვიცია, თუ რომელია მართალი? ჭეშმარიტად მართალს გვარჩევნ ზოგიერთები, რომ იმ ფულებით, რაც მისსიონერებზე იხარჯება, უკეთესი იქნებოდა გამაჰმადიანებელ ხალხთა პატარა ბავშვები აღეზარდათ სკოლებშიო. მაშინ უფრო ბევრად მეტი რიცხვი იქნებოდა გაქრისტიანებულთა. დაახ, სამწუხარო არის, სამწუხარო, რომ ჩვენი სიტყვა საქმითგან მორს არის. წერაში დავხელოვნდით, მაგრამ საქმეში კი დავკუზიანდით..

* * *



რომელიმე მღვდელმა რომ კაცის ზონათელა გახედოს მისი სიკვდილის შემდეგ, ამ მღვდელს ფრიად სასტიკად დასჯის კანონი და საზოგადოების დაცინვას და განკიცხვას ხომ დასასრული არ ექნება. მაგრამ, როდესაც თერთნეო საზოგადოების რომელიმე საპატრიარქო ჩადის ამისთანა საქციელს, მაშინ ამისთანა საქციელი წინისა და მორჩილ-მონაზობისა გამო არა-თუ გასაკრხავი, არამედ საქები და მოსაწონი რჩება. დააკვირდით თქვენ ეხლანდელი საზოგადოების ზოგიერთ საქციელს და ცხადათ დარწმუნდებით, რომ ჩვენი საზოგადოება მზად არის ამისთანა გასაოცარი და მოუხერხებელი საქმეები ჩადინოს. ამას წინეთ სტრანგეთში ცრთი გამო ჩენილი მწერალი ფრანგი გარდაცვალა. მან წყევით და კრულით დაიბარა, რომ მღვდელი არ გამაყოლოთ და არაერთი ეკლესიური წესი არ ამისრულდეთ. მაინც-და-მაინც ასეთი საქციელი დღეს დიდი გასაკვირველი არ არის. ზოგიერთები იქნამდისინ მრდიან, რომ შიგ შუბლში უხლან ფიშტოს და თავს იკლავენ. ფრანგების მღვდლები ამისთანა კაცებს არაერთი მღვდელ-მოქმედებას არ უსრულდებენ, მაგრამ დახედეთ ზოგის უგურობას. იქნამდის მიიყვანებენ ხოლმე მღვდლებს, რომ პანაშვიდს ასრულდებნებენ ამისთანა სარწმუნოებაზე უარყოფელ პირებზე. ამას წინედ ერთი პატივცემული თათარი გარდაცვალა ერთ მიყრუებულ დაბავში. ბევრი ეხვეწენ ადგილობრით მღვდელს, რომ გარდაცვლელი ეკლესიაში შეესვენებრათ და პანაშვიდი გარდაცხადათ მისთვის, რადგან განსვენებული კარგი ხასიათის კაცი იყო და ყველანი პატივს ცემდენ მასსო. მღვდელი არ დთანხმდა ამაზე, და ამიტომ ამ სულიერ მამას ბევრი დაემდურა!...

გაზეთებში ხშირად ვკითხულობთ: ესა და ეს კაცი გარდაცვალა ლოთრანგის სარწმუნოებისა და გიხოეთ მობრძანდეთ და პანაშვიდზე დაესწოთო. გვიკვირს და ვერ აგეინხნია, თუ როგორ უნდა შესრულდეს ჩვენმა მღვდელმა ლოთრანგზე პანაშვიდი. დარიგება, თუ როგორ უნდა გარდაიხადოს ლოთრანგის სარწმუნოების გარდაცვალებულზე მართლმადიდებელმა მღვდელმა პანაშვიდი, ბევრი ვეძიეთ მ. ხუნდაძისაგან შედგენილ ტიბიკონის წიგნში, მაგრამ ვერა ვნახეთ რა და ვგონებთ, არც ერთ ტიბიკონში არა აღმოჩნდეს რა ამის შესახებ. რომელი ტიბიკონით ხელმძღვანელობენ ამ შემთხვევაში ქალაქის მღვდლები, ჯერედ კიდევ ვერ გაგვიგია. თვი-

თონ ლოთრანგებს თავიანთ გარდაცვალებულთათვის წირვა-ლოცვა და ღვთის-ვედრება არ აქვთ მიღებული და ჩვენ რა უფლება გვაქვს, რომ მათ სიკვდილის შემდეგ ძალით მივალდებინათ ჩვენი წესები!

ზოგიერთები ამბობენ, რომ დიდი საპატრიარქოს დამარხვა უბრალოდ და მათი აღსარებისა და სარწმუნოების წესისამებრ, რაღაცა საჩოთიროაო. თუ ჩვენი ეკლესიის წესები ასე მოსწონთ ზოგიერთებს, რატომ სიცოცხლეში არ აცხადებენ ჩვენთან შემოერთების სურვილს? სიცოცხლეში სარწმუნოების გამოცვლა რცხვენიათო, ამბობენ. დიახ, მართალია, მკვდარი კაცი სირცხვილს არა ჰგონობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვარღვევთ მაცხოვრის სიტყვას და მარგალიტს უგებთ..... ჭეშმარიტად გასაოცარია ეხლანდელი ზოგიერთი მღვდლების მოუფიქრებელი საქციელი, რომელნიც თანმხდებიან და წირვა-პანაშვილებს უსრულდებენ თავის მკვლელებს და სხვა აღსარების გარდაცვალებულთ.

ერთი ინგლისელი 100 წლის წინად წინასწარმეტყველობდა, რომ მთელი ხალხი სიცივით ამოიხოცება ქვეყანაზედო. მას გამომანგარიშებული ჰქონდა, თუ რამდენი შეშა იხარჯება დღეში. მისის გამომანგარიშებით 150 წლის შემდეგ მთლად გაწყვებოდა ტყე და უცეცხლოდ ხალხს ხომ ცხოვრება აღარ შეეძლებოდა. დღეს იმისთანა რამეები აღმოჩნდა, რომ შეშას აღარც კი ხმარობენ ქვის ნახშირის და მახუტის წყალობით!.. სწორედ ძლიერ მიხვდა ეს წინასწარმეტყველი!!... დიდათ განათლებულმა პირმა ბოკლმა 50 წლის წინად იწინასწარმეტყველა, რომ ომიანობა დღემდის იყო და რადგან «ცივილიზაცია», შემოდის და ეფინება ხალხშიო, 50 წლის შემდეგ სრულებით მოისპობა ომიანობა და თოფ-იარაღი სულ გაუქმდებოდა. სწორედ დამტკიცდა ეს წინასწარმეტყველება 1870 წელში საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომიანობის დროს და 1876 წელში!.. დღესაც მთელი ევროპის სახელმწიფოები შეიარაღებულია და მზად არიან სისხლის ზღვები დააყენონ! ასე ფუჭი და უმნიშვნელო არის ზოგიერთი გაზეთების წინასწარმეტყველება იმისთანა საგნებზედ, რომელნიც ღმერთს და ბუნებას დაუფარავს კაცისთვის. დიახ! გვეგონია, რომ განათლებულნი ვართ, მაგრამ მხოლოდ ჩვენს თავს ვატყუებთ.

სამეურნეო სადგურის კურთხევა დ. ყვირილაში 24 მაისს.

ჩვენმა გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ დ. ყვირილის მახლობლად, აკერ წელიწად-ნახევარი არის, სურდათ დაეარსებიათ სამეურნეო ბაღი ამერიკანული ფაზის მოსაშენებლად და საწყობი ვენახის სხვა-და-სხვა საექიმო მასალებისა. მიწერ-მოწერა კარგი ხანია სწარმოებდა ამ საგნის შესახებ და დღეს, მადლობა ღმერთს, მთავრობისაგან უკვე მოვიდა ნებართვა, რომ ამისთანა სამეურნეო სადგური დაარსდეს სამუდამოდ დ. ყვირილაში. სახელმწიფო ადგილზე აქ გამართულია შენობები, რომლებშიც ლაბორატორია აქვს მოწყობილი, ბანაკ და სამეურნეო იარაღებიც. 24 მაისს ამ სადგურის კურთხევა შესრულდა დიდის ამბით. შუადღისას ყველა წოდების წარმომადგენელი შეკრიბნენ. კურთხევა შესრულდა დეკ. დ. ლამბაშიძემ. გალობდნენ ყვირაოს ეკლესიის მგალობელთა გუნდი ბ. კ. მალაქას ლოტბარობით. კურთხევის გათავებისას დეკ. დავით ლამბაშიძემ მიმართა კრებას შემდეგი სიტყვით:

«ქვემართლ საქმები და ფრიად მოსაწონი ჩვეულება სუფევს ჩვენ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა შორის—ჩვეულება ლოცვით და ღვთისადმი ვედრებით დაწყება ყოველივე საქმისა. სასარგებლო და მიუცილებლად საჭიროა ყოველივე საქმის ლოცვით და ღვთის ვედრებით დაწყება; საჭიროა ქვეყნის შემოქმედისაგან გამოავითხოვოთ მადლი და კურთხევა დაწყებული საქმის კეთილ-წარმატებისათვის. ღმერთმან აკურთხოს ეს ფრიად მოსაწონი და სასარგებლო დაწესებულება; ღმერთმან აკურთხოს და განაძლიეროს დამაარსებელი ამა კეთილის და ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა; აგრეთვე ღმერთმან აკურთხოს მოღვაწენი და მუშაკნი ამა დაწესებულებისა.

უფალმან ღმერთმან, შექმნა რა პირველი კაცნი, აკურთხა იგინი და რქვა: განმკურნალოთ, აღაკეთო ქვეყანა და უფლებდით მას. (დაბ. თავი 1—28). ღმერთმან

ეს მშვენიერი ქვეყანა დააგვირგინა კაცის შექმნით. ღმერთმა ქვეყანა, შემკული ყოვლითა სიმდიდრითა და სიკეთითა, მიანიჭა კაცს და მასცა მას ნება, რათა უფლებდეს ქმნილებათა ზედა. უფლის ნებით კაცი ბატონია ქვეყნისა. ყოველთავე ქვეყანაზედ ღმერთმან დაუმკვიდრა კაცს. «მისთვის არსებობენ ფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი, ჰაერი განსასვენებლად მისსა». ერთის სიტყვით ქვეყანა თავისი აღუწერელი და გამოუთქმელი სიმდიდრითა კაცს ეკუთვნის, მანიჭებული აქვს მასს საცხოვრებლად და საკეთილდღეობად. რა აკლია ადამიანს ქვეყანაზედ? რას ისურვებს იგი თავის საცხოვრებლად, რომ ქვეყანამ არ მასცეს მას?

ადამიანს აქვს მინიჭებული ქვეყანასთან ერთად ათასნაირი ძვირფასეული სამოსი, აუარებელი ძვირფასი თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი, სიმდიდრე, საქმელი და სასმელი. მაგრამ როგორ უნდა ისარგებლოს კაცმა ყველა ამა ქვეყნიური სიკეთითა და სიმდიდრით? ვნებდნენ რომ ყოველი სიკეთათ და სიმდიდრით შემკული ბაღი ანუ ადგილი გაჩუქოს და მისი დასამუშავებელი იარაღები არა გქონდეს, ნახუქარს ბევრი ფასი არ ექნება. რა მიანიჭა ღმერთმა კაცს ამ მშვენიერი ქვეყნის შესამუშავებლად და მოსახმარებლად? ღმერთმან მიანიჭა კაცს გონება და ცნობის ნიჭი, რომელთა შემწეობით და საშუალებით იგი უფლებს, ბატონობს ქვეყანაზე. ამ იარაღით კაცი სრული ბატონია ქვეყნისა. ამ ღვთის ნიჭით კაცი ყოველ განსაცდელს, ყოველ გაჭირვებას სძლევეს და ყველაფერს თავის სასარგებლოდ იხმარს. ქვეყნის უფსკრულში კაცი ჰპოულობს ოქროსა და მარგალიტსა, უღრმეს ზღვებზედ და ჰაერზედ უშიშრად შეუძლია იაროს და განისვენოს. გონების საშუალებით კაცი გაბედულად ებრძვის ბუნებას ყოველ მოვლენათა და ყოველთვის გამარჯვებული რჩება.

დიდება შენთვის ღმერთო! როდესაც დაფაქრდები და გამოიკვლევი ღვთის ქმნილებათა—ქვეყანას მისი სიმდიდრით და კაცსა, რომელიც უფლებს მას ზედა, წინასწარმეტყველ დავითისათანა ერთად ლაღადებ: *რად დასს გაცა, ანუ მე გაცისა, რამეთუ მასკავს მას. დააკლე იგი მცირედ რამე ანგელსთა, დადებითა და პატრიოთა გვიტვირისან ქვე იგი და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა ხელთა შენთასა, ყოველივე დამოწმად ქვე იგი იყვნთა მისთა.*

დიან, ეს მშვენიერი და ყოვლისფრად შემკული



ქვეყანა უკაცოდ ერთ გაოხრებულ და გაუქმებულ ბაღს ემგვანებოდა; ქვეყანა უკაცოდ იქნებოდა დაუგვირგვინებელი, დაუბოლოებელი, და დაუსრულებელი ქმნილება. მაგრამ ღმერთმან ყოველი ქმნილება ქვეყნისა გონიერი არსებით, კაცით დააბოლოვა და დაასრულა. ჭეშმარიტად კაცი ცოტა რაზეთი არის დამცირებული ანგელოსთაგან. იგი ღვთისაგან დადგინებულ არს უფლად, ბატონად მის ქმნილებათა ზედა.

მაგრამ ეს გვირგვინი ქვეყნისა—კაცი, ეს უფალი, პატრონი და ბატონი ამ ძვირფასად შემკული ქვეყნისა, როდესაც გონებით სუსტდება, არ ავარჯიშებს ღვთისაგან მინიჭებულ ნიჭს, გონებას და ცნობას, ჰკარგავს თავის უფლებას და ბატონის მაგივრ მონად ხდება. ცხოველები ქვეყნისა, ფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი, რომელნიც ღმერთმან მიანიჭა კაცს საზრდოდ და მსახურად, თვით ამ კაცს გაიხიდიან ხშირად საზრდოდ და მოსამსახურედ. როდესაც ეს გვირგვინი ქვეყნისა—კაცი გონებით ჩლუნგდება და დაბუნდება, მაშინ იგი მსხვერპლად ხდება ბუნების მოვლენათა და ყველაფერი, რაც კი მის საკეთილდღეოდ იყო დანიშნული, საჭირობოროტოდ იქცევა. ყოველივე ამისთანა უბედურება, ყოველივე ამისთანა სიმწარე დაადგება კაცს მაშინ, როდესაც იგი დააბნელებს ღვთისაგან მინიჭებულ ნიჭს, გონებას და ცნობას. თუ კაცს ღვთისაგან მინიჭებული ნიჭი ცნობა და გონება მახვილი აქვს და ნიადგა ავარჯიშებს მათ, არაფრის არ უნდა ეშინოდეს. იგი ყოველივე განსაცდელს დასძლიებს და გამარჯვებული დარჩება. ჩვენი ნათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ორიოდვე მაგალითს.

ჩვენი დასავლეთის საქართველო თუმცა ღვთისაგან დაფარული იყო და არის კალიის აოხრებისაგან, მაგრამ ეს შეუბრალებელი მტერი დიდ უბედურებას აყენებდა და დღესაც აყენებს აღმოსავლეთ საქართველოს. უწინდელს დროში ხალხი ისე უგნური იყო, რომ კალიის გაჩენას ღვთის რისხვას აწერდა და ამიტომ ამ მაინებელ მწერს გზას ულოცავდა და არას ენებდა. კალიაც ყველაფერს ანადგურებდა და ხალხს მთელი წლის საზრდოს მცირეს დროში ხელიდამ აცლიდა. კალია მთელი ხალხის კეთილ-დღეობას მცირეს დროში ძირს უთხრიდა და უბედურებაში აგდებდა მკვიდრთ. მაგრამ მადლობა ღმერთს, ხალხმა შეიგნო დღეს, რომ კალია—ეს მტერი ხალხის კეთილ-დღეობისა, ღვთისაგან მოვლენილი არ იყო მათი ცოდვების დასასჯელად. გამოიყვანეს ხალხი ამ საში-

შარი მტრის საბრძოლველად, შეიკრიბა ხალხი და მიესია ცოცხებით, თოხებით და ბარებით და მრავალი კალია, რომელიც სრულიად ჰფარავდა თვალ-უწვდენელ ადგილებს და დათესილ ჭალებს, გასწყვიტა და თავისი ნაღვაწი და ნათესი დაიფარა მათ განადგურებისაგან. ხალხი მიხვდა, რომ კალია, მათი ცოდვების დასასჯელად არ იყო მოვლენილი და აღუდგა წინ.

მადლობა ღმერთს, დღეს სძლიეს კალიას და უწინდელი თავზარდამცემი შიში აღარ ელის ხალხს და მის კეთილ-დღეობას ამ მტრისაგან.

მართალია, ყოფილა და დღესაც არის შემთხვევა, რომ ღმერთი მოაველენს ხოლმე ჩვენი ცოდვებისათვის თავის რისხვას, როდესაც ხალხი ივიწყებს თავის შემოქმედს, ზნეობით ეცემა და პირუტყვს ემსგავსება, მაგრამ ამისთანა რისხვა ღვთისა ჩვენი თვის ჭკუის მასწავლებელი და გონების გამოამთხზილებელია. ყველამ ვიცით, რომ ყოველივე სენი ცუდია და მტანჯავი კაცისათვის. მაგრამ სნეულების წყალობით მრავალნი დამდგარან ჭეშმარიტ გზაზედ და თავი დაუხწყევიათ მომავალი სულიერად და ხორციელად დაღუპვისაგან. კაცისათვის ღმერთს გონება მიუნიჭებია და მან უნდა განაჩიოს ღვთის რისხვა ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენათაგან.

მეორე მაგალითი. ვინ არ იცის, თუ რა ხანია, რომ ერთი უბედური ჭირისაგან ჩვენი ვენახები, ბურჯი ჩვენი კეთილ-დღეობისა, ინაცრება და აჭრაქება. ყველა კარგად მიხვდა, თუ რა შედეგი მოელოდა ჩვენს ხალხს ღვინის მოსავლის მოსაზობით. მართებლობამ და ნასწავლმა პირებმა მიმართეს ხალხს თავის სასარგებლო დარიცხებით და დახმარებით. წარმოიდგინეთ ზოგიერთი პირების გონებითი დაბრმავება. მათ წინააღმდეგად და შეუძლებლად მიაჩნდათ ამ ღვთის რისხვის-ნაცრისა და ჭრაქის ექიმობა. მაგრამ მადლობა ღმერთს, გონიერიული მთავრებით და ღონის ხმარებით ცხადათ დავრწმუნდით ყველანი, რომ ვენახის ნაცრის და ჭრაქის ექიმობა ადვილი ყოფილა და ამ სასტიკს და ძლიერს ჭირს სულ ადვილად დაგსძლიევთ და ჩვენ კეთილ-დღეობას ამ მხრით არასფერი შიში არ მოელის. ჩვენ გავიმარჯვეთ და გაუმარჯვოს ღმერთმან ამ სარბიელზედ მოღვაწეთაც, რომელთაც თვალი აუხილეს მდაბიო ხალხს და ამისთანა მტერზედ გაამარჯვებინეს.

მაგრამ არის კიდევ ერთი უსაშინელესი ჭირი ვენახისა. მე ვამბობ ფილოქსერაზედ. ეს ისეთი ძლი-

ერი ჭირი არის ჩვენი ვენახებისათვის, რომ სრულე-
ბით ვენახების განადგურებას გვექადის. ცხადი წარმო-
სადგენია ყველასთვის, რა უბედური სიღარიბე და სი-
ლატაკე მოელის ჩვენს ხალხს ვენახების გაქრობის
შემდეგ. დღევანდელი ჩვენგან ნაკურთხი დაწესებუ-
ლება არის ერთი მშვენიერი დაწესებულებათაგანი,
რომელიც არის დაარსებული ვენახის ამ საშიშარი
ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. მართებლობა
ხალხის კეთილ-დღეობისთვის ნიადგ ზრუნავს და ამ
მიზნით განიზრახა დაარსება ამ დაწესებულებისა ჩვენს
მაზრაში. ნასწავლნი პირნი, მოსამსახურენი ამ დაწე-
სებულებისა, ყოველივე ღონეს და ზომებს ხმარობენ
და სტდიან, რომ ამ საშიშარ მტერს დასძლიონ და,
იმედია, ბოლოს დროს რაიმე ღონეს გამოიხვეწენ,
რომ ამ საშინელს მტერს სძლიონ და ჩვენი ხალხის
ეკონომიური კეთილ-დღეობა უზრუნველ ჰყოფნ...

თვითვეული კერძო კაცის ცხოვრება ისეა დაკავ-
შირებული მთელი საზოგადოების ცხოვრებასთან და
საზოგადოება მთელ სახელმწიფოსთან, როგორც ხის
ტანი თავის უთვალავ რტოებთან და ფესოებთან.
როდესაც ხის ამწვანებულ ტოტებს ვხედავთ და ტოტებზე
მოსხმულ მშვენიერ ნაყოფს, ალტაცებაში მოვდივართ
და მზად ვართ, ხის რტოებს ქება შევასხათ ამის-
თანა ნაყოფიერობისათვის. ამავე დროს ჩვენ,
ხის ტოტების და ნაყოფისაგან ალტაცებაში მოსულებს,
გვაფიწყდება ის, რითაც ხე ასე გამშვენებული
და ნაყოფიერია. ესეები არიან ხის ფესოები, რომელ-
ნიც მიწაში ჩამძვრალან, თვალთ სრულეებით არ
იხილებიან და იქიდან კი იძლევიან ნაყოფისათვის
საჭირო მასალას. როდესაც ფესოები დაზარალებული
და გამხმარნი არიან, მაშინ ხეც ხმება და მასზედ ნა-
ყოფს თვალთაც ვეღარ დაინახავ. ამას ემსგავსება
მთელი სახელმწიფოს ცხოვრებაც. თუ მდაბალი ხალხი,
მომეტებული უმეტესობა სახელმწიფოსა, ეს საიმედო
და მტკიცე ბურჯი სახელმწიფოსა გაღარიბდა და
გალატაკდა, მაშინ მთელი სახელმწიფო ღარიბდება
და გალატაკდება. მაშინ მას აღარ აქვს ნდობა
და ძალა თავის არსებობისათვის, როგორც ფესოებ
გამხმარ ხეს.

ჭეშმარიტად სასიხარულოა, რომ ესეები შეიგნეს
ზეერმა და მართებლობა დღეს დიდ ყურადღებას აქ-
ცევს მდაბალ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის
გაუმჯობესებას. მადლობა უნდა შევსწიროთ ღმერთსა
და მთავრობას, რომ ჩვენში დააარსა ეს დაწესებუ-

ლება და თულოც მოგვცა მის არსებობისათვის. პირ-
ველი დანიშნულება ამ მშვენიერი დაწესებულებისა
არის ის, რომ ჩვენ შევისწავლოთ და შევიძლოთ
ბრძოლა იმ ჭირთან, რომელიც ჩვენ ვენახების გაქ-
რობას გვექადება. გულით და სულით სასურველია,
რომ ეს დაწესებულება და ეს ადგილი გახდეს თვალის
ამხელი მაგალითი და მასწავლებელი ჩვენი ხალხისა.
რომ მან თავისი ეკონომიური მდგომარეობის გასა-
უმჯობესებლად აქ შეისწავლოს ყველა სწავლა-მეცნი-
ერება, გამოგონილი და გაადვილებული სახსარი მი-
წის შემუშავებისა, მასწავლებელი და მჩვენებელი
ხალხისა, თუ როგორ ისარგებლოს მან იმ სიმდი-
რითა, რომელიც ამ შემკულ ქვეყანასთან ერთად
მიუნიჭებია მოწუალე ღმერთს მისთვის, და რომლის
უფლად, ბატონად და პატრონად დაუდგენია იგი“.

ბაღის კურთხევის შემდეგ სტუმრებისათვის გა-
მართული იყო საუზმე, რომელზედაც ბევრი გრძო-
ბით საცხე სიტყვები წარმოითქვა ამ ფრიად საჭირო
დაწესებულებეს შესახებ. ყველანი მადლობით იხსე-
ნიებდნენ ვ. ა. სტაროსელსკის, რომლის მეთაურობით
დაარსდა აქ ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება.

წარსულ წელში აქ დათესეს ამერიკული ვენახის
თესლი და მშვენიერად ამოვიდა. ამ წელში გადარგეს
და ამოსხლეს. შემდეგში, იმედია, აქა-იქ გაა-
შენებენ ამ ვენახებს და დამყინან მასზედ ჩვენი
ვენახების რტოებს.

ამ სადგურში ყველაფერი მოწყობილია ვენახის სა-
ეკიძით; ამასთანავე ბ. სტაროსელსკის აქვს მიწის საუ-
შევარი და სახნავი ყოველნაირი იარაღები, რომელსაც
ჩვენი ხალხი თან-და-თან ეჩვენა და უხსოვარი დროიდან
ხმარებულ გამოუდგეარ მიწის სამუშაო იარაღებს
თან-და-თან სცვლის. ღმერთმან ქმნას რომ ეს სად-
გური თან-და-თან გადიდდეს და მოსალოდნელი
ნაყოფი მოუტანოს ჩვენს ხალხს.





„მწყემსი“-ს კორესპონდენცია

სოფ. ზაბიდან (შორაპ. მაზრაშა).

საოცარს მუშაობას მიჰყევს ხელი ამ გაზაფხულზე ჩვენებურებმა. ინათლებს თუ არა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა წამოიკიდებენ ზურგზე ზოგი გოდრებსა, ზოგი ტომრებს და თავ-თავის ჯერით შეუდგებიან მანლობელ მთისაკენ გზას, რომ ადრეულად მიადწიონ დანიშნულს ადგილს და მოკრიფონ „მოცვის“ ფოთლები, რომლისგანაც აკეთებენ ჩაის. შარშან სიზმარშიდაც არავის მოსჩვენებია ჩვენში მოცვის ჩაის მზადება, მაგრამ წიფს, დადგა თუ არა გაზაფხული, აქაურებმა მიჰყევს ხელი მოცვის ფოთლებიდან ჩაის მზადებას და ძალიან გულმოდგინეთაც მუშაობენ. მოცვის ფოთლებისაგან ჩაის კეთება პირველად ს. სნლითში შემოიღეს, და, როგორც ამბობენ, ამ საქმით გვარიაანდაც ისარგებლეს თურმე მცნოვრებლებმა. სნლითელებს მიხატეს ვანელებმა და ლეფნელებმა და დიდის შეცადინეობით დაუწყეს ფოთლების კრეფა საცოდავ მცენარეს, რომ, როგორც ამბობენ, ამ წელიწადში მოცვს ფოთოლი აღარ გამოუღია და გამზარა. ხელ-უხლებლად დარჩა «მოსაკიდლის» მიდამოები, და ყიფიანების სამკვიდრო მთები, რომლებშიდაც მოცვის მცენარე ბევრი ხარობს. ეს ადგილები მდებარეობენ მდ. ჩხირამელის მარჯვენა მხარეზე. წიფს კი ამ მთებსაც მიმართეს როგორც აქაურებმა, ისე სნლითელებმა და ლეფნელებმა და უოველ დღეს ასიდგან სამასამდინ მკრეფავი კაცი და ქალი ასეცა. საქმის დღეს მარტო ქალები და ბავშვები დადიან მოცვის ფოთლების საკრეფად, მაგრამ კვირა-უქმე დღეებში მოიყრიან ერთად თავს რამოდენიმე მეზობლის ქალნი და კაცნი და გაუდგებიან მთისაკენ გზას. აღარც წირვას მათთვის და აღარც ლოცვა. ამ დღეებში წირვაზე დაიარებიან ისინი, რომელნიც არ კადრულობენ მთაში სიარულს, ან არ შეეძლიათ მთაში წასვლა მოხუცებულობისა გამო.

ამ გარემოებამ სკოლების საქმეც შეათერნა. უმეტესმა ნაწილმა მოსწავლეებისამ მიანება

თავი სკოლას და მოცვის ფოთლების საკრეფად დაიარება. მე გამოვკითხე ზოგიერთ მოწაფეებს, თუ რათ არ დაიარებიან სკოლაში და მათ არა მიპასუხეს: თითოეული ჩვენგანი დღეში თითო მანეთის ჩაის ვამზადებთ და ამიტომ მოცვალება არა გვაქვს, რომ სკოლაში ვიაროთო. 45 შეგირდიდან მარტო 30 დაიარება დღეს სკოლაში და ისინიც, არ ვიცი, როდის მიანებებენ თავს ჩემს სკოლას. ჩემის ფიქრით ასეთივე შედეგი მოეღოს იმ სკოლებს, სადაც მოცვი ბლომად ხარობს, და მისგან ჩაის მზადებას მიიჩვია ჩვენი ხალხი.

ზაბის სამ. სკ. მასწ. ეგ. გორგაძე.

† დეკანოზი იოანე აბაშიძე.

როგორც „მწყემსი“-ს მკითხველებმა უწყიათ, 10 მაისს, შემდეგ სანგრძლივი ავადმყოფობისა, გარდაიცვალა თავის საკუთარს სახლში, სოფ. საჯანეს (შორაპ. მაზრაშა) სანსკერის საზღალონის ოქტის ბლაღოჩინი დეკ. იოანე ზურაბის ძე აბაშიძე. განსვენებული დაიბადა სოფ. საჯანეში 1824 წ. აზნაურთ ზურაბ სასულტის ძის აბაშიძის და მისის მეუღლას ანნასაგან. სიყრმიტანგე, როგორც ეს ჩვეულებად ქონდათ ჩვენს წინაპრთ, შატაბა ივანეს, რომელიც ბუნებისაგან დაჯაღდაკებული იყო ნიჭით, დააწიებინეს საღმრთო წიქრის კითხვა და ეს საგანი ისე შეაყვარეს მას, რომ უმაწვილს მუდამ ხელში ეკავა დაკითხი. ამ გარემოებამ მიიქცია უუჭადღება აწ განსვენებულის იმეკეთის მთავარ-ეპისკოპოსის სოფრონისისა, რომელიც შატაბა ივანე წაიყვანა ქ. ქუთაისს და თავისის საჭრით ზრდიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ივანემ დამთავრება სწავლა. შემდეგ ამისა ნეტარსენებულმა იმეკეთის მიტროპოლიტმა დაკითხა (წერეთელმა) მიიქცია უუჭადღება ივანე აბაშიძის ნიჭს, მიიყვანა იგი თავისთან და უბრძანა მაშინდელთ საღმრთო წიქრის კარგად მცოდნე შიშთ გაწვრთნათ ივანე როგორც საღმრთო წიქრის კითხვაში, ეტრთვე ესწავლებინათ მისთვის უოკალიკე სამღვდელთ საჭინო საგნები და წესები. როდესაც

მიტრქობალიტი დაკითხი დაწმუნდა ივანე აბაშიძის საკმაო განკითხვებამდე და შატოხისგან შინ იგი ხელდასხმულ ქუჩა მთავარ-დაიკუნად 1849 წ. ნოემბრის 21 და განაწესა ქუთაისის საკათედრო ტაძარში. შემდეგ დაკითხი მიტრქობალიტის განდევნების განსვენებულმა ეპისკოპოსმა კეთიმე ხელდასხმა მთავარ-დაიკონი ივანე აბაშიძე მღვდლად სახელით იოანე 20 აგვისტოს 1853 წ. და განაწესა იგი სავანის წმ. გიორგის ეკლესიაზე და მასთან დანიშნა თანამეძვედ ბლადონისა. ამ დროიდან კიდევ 1861 წ. მამა იოანეს ქონდა ხოლმე მინდობილი თუ ბლადონის თანამდებობის აღმასრულებლობა, თუ სხვადასხვა გამოძიება და მას ყველას ასრულებდა განსვენებული სიმარჯვით და სინიღისიერად. დანიშნა რა ქუთაისის კათედრაზე მისი ყოვლად უსამღვდელოება ეპისკოპოსი გაბრიელი, მათმა მეუფებამდე მაქციას იოანეს სიმარჯვეს ყურადღება და 26 იანვარს 1861 წ. დანიშნა იგი ბლადონისად საჩხერის ოლქში და მასთან გამგებლად საეკლესიო ადგილ-მამულთა შოკაშის მაზრაში.

ბლადონისად დახიმებისათნავე მ. იოანემ მაქციას ყურადღება ეკლესიების უკარგისობას. დაუტრბოქლად აგონებდა ხალხს, თუ რა წინააღმდეგობა ღვთისათვის უკარგის ეკლესიას მისხურება. ამ უამად იშვიათად შეხედებით მისთანა ეკლესიას, რომელიც იოანეს ბლადონისობამდე ან ახლად აღშენებული არ იყოს, ან შეკეთებული და გამოკენებული. ხეიში არ იქნებოდა იმისთანა არც ჭიჩი და არც ღებინი, სადაც მამა იოანეს გონიერული რჩევა არ გაერეოდა, ამისათვის მას ყველა აფასებდა და მამად უწოდებდა. რამდენადაც საზოგადოება აფასებდა მ. იოანეს, რა იმდენად თავის საბლადონისად სამღვდელო და საეკლესიო მისხურნი. ამას მარწმობს შემდეგი მაგალითი: საჩხერის ოლქის საბლადონისად სამღვდელოებამ 1888 წელსად დაადგინა განხენი, რომლის ძალით გარდასწუვიტეს საჩხერეში სამრევლო სკოლის აშენება ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის და ბლადონისად დეკ. იოანე აბაშიძის მისხურების სახსოვრად და განხენი კიდევ აღასრულეს მათ წარსულ წელსად 1 ოქტომბერს, რომელსაც აუთხეს დ. საჩხერეში ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, აღშენებული საჩხერის ოლქის საბლადონისად სამღვდელო და საეკლესიო მისხურთაგან. არც მთავრობას დაუტოვებია მ. იოანეს შრომა დაუფასებლად. მას ქონდა ნაბობები შემდეგი ჯილდოები: 1859 წ. გულისკიდი ჯვარი, სახსოვრად ომიანობისა 1853

—1857 წელსში; 1860 წ. ნაბეჯენიკი; 1864 წელს სკუფია; 1868 წ. კამილაკა 1868 წ. და 1872 წელსში ქონდა მოძღვნილი ლოტვა-კუთხეკა უწმ. სინოდისაგან, 1874 წ. ანხს ორდენი მესამე ხარისხისა, 1877 წ. ალექსანდრე იქმნა დეკ. ხარისხზე; 1881 წ. მეკრდის ჯვარი უწმ. სინოდისაგან, 1887 წ. ანხს ორდენი მეორე ხარისხისა და ამავე წელს ნიშანი წითელი ჯვარისა და 1891 წელს კლადიმერი მეოთხე ხარისხისა. ამასთან უნდა მოკავსებოთ ისიც, რომ ერთს დროს იმერეთის ეპარქიაში შემოდებული იყო ბლადონისების კენჭით ამოწვევა და მ. იოანე ორჯერ იქმნა აჩხეულ ბლადონისად.

დეკ. იოანეს გასვენების დღე დანიშნული იყო 16 მაისს. ამ დროსთვის მობრძინდა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ხალხი ძლიერ მრავალი დაესწრო. მათ რიცხვში სომხებიც ბევრი იყო. ხუთი საათი იქნებოდა ნაშუადღევისა, რომელსაც ყოვლად სამღვდელო შეიძობს და დაიწვეს პანაშვილის გარდასდა; შემდეგ პანაშვილის ბევრი სიტყვები ითქვა განსვენებულზე, მაგრამ უფრო საყურადღებო იყო სიტყვები: მოძვერო-მოძღვრის მღვდლის ირავლი აბაშიძის და თავ. დავით რესტომის მის წერეთლისა.

თ. დ. წერეთელით თავის მგრძობიანად სიტყვაში სხვათა შორის სიტყვა:

«იტყვის წინასწარმოტყველი დავით მეფე თსაღმუნსა შინა თვისსა: «შატოხის არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა». ეს სიტყვები მანუგებებლად იმან დღეს ჭირისუფალოთა და მტრობათათვის განსვენებულის ბლადონისად დეკ. იოანე აბაშიძისა, მაგრამ თუ გარკად გასწვრტთ აწმყო ხეიხს ცხოვრებას და გონებით თვალთ დაგატქვადებით, დიდი დასავლისა ამ ხეიხს უფრე კუთხისათვის მ. იოანეს მოკლება. ფრად სამძიმო და სატირალი ხეიხთვის. დღეს ამასთანავე იმარება უგანასენელი რიცხვით და ერთიღა დარჩენილი მოქალაქებით და საქმით ანტონ ქათალიკოსის და ანტონ ჭეონდიდლის ეკლესიულს გზაზედ მოხიარულად მღვდელო, გაზრდილი დავით მიტრქობალიტის წერეთლისაგან, რომელიც დროთა ვითარების შეცვლისა გამო არ დარჩენილა ორთა შუა. მრავალი გარენი ძველი და ახალი შეახმა და შემდეგ განათლებულ და ნასწავლ მღვდელო-მთავართა ხელ ქვეშე მეოთხე განაქ-



დავა და უმეტესი ჯიჯარი მისცა; შემდეგ შეუდგა მის განხილვას, თუ რა მიზეზია, რომ ძველ მღვდლებს, რომელთაც სკოლაში და სემინარიაში კი არა, უგანასკნელ უღაბნეობაში განვიტარებულთ დასწავლთ უფრო გავლენა ჰქონდათ ხალხზედ, ვიდრე ახალ მღვდლებსა და ამის ერთ მიზეზათ ის დასასხვლა, რომ ეს ხალხი მღვდლები არაა და არაა კარგად განვიტარებულნი მეთაურე ქართულ საღმრთო წესრიგში. ბოლოს ბ. წერეთელმა სთქვა, რომ მ. დეკ. იოანეს არ იყო სწავლით უმეტესობა, მან სწავლა მიიღო სასულიერო სასწავლებელში, კითხულობდა საღმრთო და ჰაერო წიგნებს და გახეთქეს, იშრომა და იმეცადინა სასწავლის სკოლის განხილვად და როდესაც დაასხა სკოლა, აუფრთხა მასში შეკრებილნი 150-მდე მოსწავლე ქალ-ვაჟი და შემდეგ, მსგავსად სემიონ მოხუცებულისა, წამოხსნა განხილვა ესე: აწ განმითქვა მე მონა შენი, უფალა, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა ნათელია. შემდეგ განსკვნებულნი ჩავარდა ლოგიშიდ უძღურად და განისკვნა საუკუნოდ.

ნ საათი იქნებოდა, როდესაც მ. დეკ. გამოათხოვეს თავის სახლს და დაიძრა სამწუხარო ბრძოლისა შემდეგის წუთობებით: წინ მიაქვსთ სასწავლებელი, ბინადები და მაცხოვრის ხატი, მის შემდეგ განსკვნებულის რძლები, რომელიც კავთ ხელშიდ უმწიფლებს; ამათ წუთობისად მიუკუბოდნენ 160-მდე შეგირდები სასწავლის სამრევლო სკოლისა თავის მასწავლებლებით, შემდეგ მკალობლები, მათ მიუკუბოდათ შემოსილნი 70-მდე სამღვდელთა: არქი მანდრიტი მ. სკამენ და უოკლად სამღვდელთა იმერ. კუ. გაბრიელ; შემდეგ კუბა რომელსაც მისკვნებდენ მღვდლები, შემდეგ ჰინისუფანნი, და ბოლოს აუარებელი ხალხი რისივე სქესისა. მასკენეს რა მიტკვალბული საკანის წმ. გიორგის ეკლესიაზედ, გადახდაეს მწუხარი და შემდეგ უკვლანი თავ-თავის ბინაზედ წაიადნენ; მეორე დღეს 17 მაისს, კვირას სწინა უოკლად სამღვდელთა, აუტეს წესი მიტკვალბულს და მიახარეს განსკვნებული გაუმაძღარს მიწას ეკლესიის გალავანში, სადაც თვითონ ენებები განსკვნებულს დასაფლავება. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი გეთილთა მშრომელთა, მატოხსანთა და დაუკიწვართა მამათა და მოძღვართა იოანეს.

უბიწოება ცოლ-ქმრობაში.

ჩემს ყმაწვილობაში, ამბობს დოქტორ - ქალი ალისა სტოკჰემი, ერთხელ სტუმრად შევედი ჩემს ნათესავ ქალთან. იქვე შემოვიდა ერთი ახალგაზდა ქმრიანი ქალი თავისის ოთხის თთვის ბავშვიანათ, რომელიც ერთიანათ გამხდარი და გაყვითლებულ-გალურჯებული იყო. გაისტუმრა თუ არა ისინი, ჩემმა ნათესავმა ქალმა მწუხარებით შენიშნა: «არც კი რცხენიათ ამ ახალგაზდა ცოლ-ქმართ, რომ ასეთი უმეცრები არიან? ის უბედური ბავშვი სულ იმის გამოა ასე დატანჯული, რომ მისი მშობლები, უთუ-ოთ, მეტათ ხშირად სარგებლობენ მეუღლეობის უფლებით. ამითი ხომ ძუძუს აკლდება თავისი ცხოველ-მყოფელი, მასაზრდოებელი ნაწილები». იმ დროს მე იმდენათ ახალგაზდა და ხამი ვიყავი, რომ კარგად ვერ ვავიგე ამ სიტყვების მნიშვნელობა. ხელმძღვანელი ჩემის საკუთარი ალლოთი და იმით, რაც პირუტყვების ცხოვრებაში შენიშნული და ნახული მქონდა, მე ფიქრადაც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ადამიანებში იქნებოდა ესეთი ხშირი სქესებრივი დაკავშირება, მსუნაგობა და აფხორცობა, მეტად რისულ-ლობაში და ძუძუს წოვების დროს. მეტად დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ პირუტყვები ამ მხრით ძლიერ მალლა ღვანან ადამიანებზე.

აქამომდე ვერ დამიფიქვნია ჩათვთქილი პირისახე იმ საბრალო ბავშვისა, რომლის დაქანცულ-მიღნა-ვებული შენეღულბება ისე მჭვერმეტყველებით ამტკიცებდა ყოველის სამართლიანობის დათრგუნვას მშობლებისგან ბავშვების შესახებ.

შემდეგში მკურნალობა შევისწავლე, გამოაცდი-ლება და დაკვირება შევიძინე და წავიკითხე, სხვათა შორის, წიგნები: „ქორწინება, მისი მოვალეობა და პასუხისგება“, «ცოლ-ქმრებსა და მშობლებზე» და „არ სასურველი შვილი“. ყოველმა ამან სრულის საბუთებით დამარწმუნა, რომ მეტათ მიუცილებელი საჭიროა ცოლ-ქმართათვის ზომიერი და თავდაჭერი-ლი ცხოვრება, თუ გვინდა, რომ ჩვენი მომავალი თაობა ძირითად სასიკეთოდ გადაიმქნეს, განკარგ-დეს და განვითარდეს ყოველმხრივ. ზემოხსენებულის წიგნების ავტორები, კაცნი ფრიად სარწმუნოანი, გულს-მოდონებით ურჩევენ მშობლებს, მისცენ თავიანთ

შვილებს ყოველივე ის, რაც კი მათში საუკეთესო რამ არის, ნუ მოაკლებენ შთამომავლობას ხორცეულს და სულიერ ძალ-ღონეს აფხორცობის აღვირუსხმელობით.*)

საჭიროა, მოვლინდეს ადამიანებზე რაიმე ზენა ძალა, თორემ ათასის ცეცხლის კალმით რომ აღწერო ის გულთშემზარავი კივილ-ჩხვილით წყვეტება ძალამიხდილ მშობიარეთა, ასეთი ხშირი ტანჯული სიკვდილიანობა თოთობავშვებისა, მიანც ვერ დააჯერებ ახლანდელ მშობლებს, რომ ყოველივე ეს არას შედეგი უმთავრესათ შათის აფხორცობისა, ბუნების გაუკუღმართებისა და მისთ კანონთა დარღვევისა. საზარლათ იჩაგრებიან ამ ბოროტებით და უსამართლობათ საცოდავი ცოლები და შვილები, ქორწინების ნიღაბ ქვეშ მღვამის მამაქაცებისგან!

გარდა იშვიათ შემთხვევასა პირუტყვეებს შორის დედალი იკარებს მამალს სასქესაოთ მხოლოდ გვარის აღსადგენათ. ესრეთივე წესი, ცოტა გამონაკლთა გარდა, არსებობს ნადირ-კაცთა შორის. მხოლოდ «განათლებული» ერები, რომელთაც ასე თავი მოსწონსთ სარწმუნოების და ზნეობითი კანონმდებლობით, ფიქრობენ და იქცევიან ისე, ვითომც დაშართლა შესაძლო არ იყოს კაცისთვის თავის სქესებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თავისი განსახლრულის დროთი და თითქო ეს უნებრობა, აღრეულობა და სხვისის გულის წადილთა დაუკითხობა ბუნების კანონი იყოს.

*) ახლანდელ გამოვიდა რუსულს ენაზედაც გადმოღებული ამერიკულ დოქტორ-ქალის ალისა სტოკჰემის თხზულება „ტოკოლოგია, ანუ სწავლა ყრმათა შობაზე“, რომელიც ძირეულათ სცვლის მესნიერების შეხედულებას ამ საგანზე. წიგნი დაწერილია დაბიურათ. ამ წიგნზე აი რას ამბობს კრტიკა: „ეს ერთი იმ იშვიათ წიგნთაგანია, რომელიც განიხილავენ იმას კი არა, რაზედაც ყველანი ღაპარაკობენ და რაც არავისთვის საჭირო არ არის, არამედ—იმას, რაზედაც არავინ ღაპარაკობს, და ყველასთვის კი მიუცილებლად საჭიროა. მშობლები მოვალენი არიან იცოდენ, თუ როგორ იშობება გაჭვირვებლათ ჯანმრთელი შვილები, და ვიდევ უფრო საჭიროა მომავალი შვილები ჩნდებოდნენ და იზრდებოდნენ საუკეთესო პირობებში“. ამ წიგნს სთარგმნის თურმე ქართულად ერთი, ქართული ენის მცოდნე, პირი, რომელმაც გადმოგვცა ჩვენ XI-ე თავი „მწყემსი“ დასაბეჭდად საშინჯათ თუ, როგორ გადმოიდის ქართულ ენაზე ეს შესანიშნავი წიგნი.

რედაქტორი.

საჭიროა, მოკლედ ჩამოვთვალოთ, რა და რა შეხედულება არსებობს ამ საგანზე.—ერთნი ამბობენ: სქესებრივი კავშირი შეადგენსო სხეულის მოთხოვნილებას მხოლოდ მამაკაცისათვის, დედაკაცისათვის კი არაო. მეორენი ამბობენ: სქესებრივი კავშირი არის სიყვარულის მოქმედება, ნაცვალგებითად დამაკვაყუჯულებელი და ორისავე სქესისათვის საწადელ-საუწყელოო. მესამენი ამტკიცებენ, რომ სქესებრივი შეუღლება უნდა არსებობდეს მხოლოდ შთამომავლობის გასამრავლათ და გვარის აღადგენათო.

ფიზიოლოგები და ექიმები გვასწავლიან, და მათ დიდძალი ქალი და კაცი ეთანხმებათ, რომ «სქესებრივი კავშირი მიუცილებლად საჭიროა მამაკაცისთვის, დედაკაცისთვის კი არაო»; რომ «მამაკაცს ბუნების თანაარსია სქესებრივი მოთხოვნილება და მისი დაუკმაყოფილებლობა მის ჯანმრთელობას დაზიანებსო»; რომ «თავშეკავებას მოსდევსო გამოღვევა და გამონიჭება სანაყოფიერო ნაწილთა, რომელნიც კაცის სხეულს გესლივით წამოღვენო». რომ «ქალი ბუნებითად ისეთი ხორცმცხავი არ არის, როგორც კაცი; გადმომდინარება ქალის სხეულისა მაგდენად უხვი არ არის და რაც აქვს, იმის შეღავათს აძლევსო «სათვეო წესი»; მაშასადამე მას, კაცსავეთ მოთხოვნილება არ აქვს და არც მანებელიაო მისთვის».

არც ერთი აქ მოყვანილი აზრი არ არის დამყარებული კაცის და ქალის ჭეშმარიტ ბუნებაზე. განა ახლანდელის ადამიანის ბუნება, ასე ვთქვათ, ნამდვილი ბუნებრივია? როდესაც მხოლოდ ქალს ჩაჩანებენ, რომ ნამუსიანობა და ქალწულებრივი უჩანკლება არის უძვირფასესი თვალი მისს გვირგვინში; როდესაც საზოგადოებრივს ხმას მარცხვობა და თავდაცულობა განუყრელ თვისებად დაუსახავს ქალისათვის; როცა ქალს ემინია: შვილი გაჩინდებო და მოთმინებთ ამ უხედურობას აცდებო; როცა ამასთანავე ათასი უკუღმართი ჩვეულება და ადათი ცხოვრებაში ამხინჯებენ მისის სხეულის წარმოებას,— აბა, როგორ შეგვიძლია ჩვენ სინამდვილით შევიტყუოთ, რა არის ქალისთვის ბუნებრივი და რა არ არის?

როცა, აგერ კიდევ, ვაქა ის აქვს ჩავიანებული, რომ ნამუსის დაცვა მისთვის მეტი ბარგია, როცა ენებები აღრეულათ აღტყანებული აქვს ბუნების წინააღმდეგის აღზრდით და ცხოვრებით: მაცდურ სიტ-

ყვაპასუხით, საარშიყო წიგნებით, სურათებით, გარყენილ კაცების ქცევით და ნახვა-შეხვედრით, მაგარ სასმელებით, — აბა, რაღა საუფუძველი გვაქვს ჩვენ ესტყვით, რომ ეს ენებათ ღელვა ბუნებრივიაო და მათი აყოლა და დაკმაყოფილება სასიძრთელოო? მეცნიერს ნაფუტონს უთქომს: „ენც დაკვირვებია და ვისაც შეუგნია თუ, როგორ საქირაოა მოერიდოს კაცი აღმძერელ ზედმოქმედებას მაგარ სასმელებისას, ყავისას, შოკოლადისას, სანელებლებისას, ხორცეულ საქმელებისას და კვერცხებისას, ის თავის ღღეში ბუნებას არ გადააბრალებს თავისს ავხორცობას, და სასიყვარულო ხურუშებას».

როდესაც ჩვენ ჩვენის ცხოვრებით, ჩვენის ცრურწმენებით და საზოგადო წყობილებით სხვა-და-სხვანაირათ ვაგვიუკუღმართებია სხეული და ხასიათი ჩვენის ფაფების და ქალების, აქ ბუნება რაღა შუაშია?

რა შედეგები აქვს ზემორე მოყვანილ თეორიებს და რას ეძახი, ჩვენში «საზოგადოებრივ ბოროტს?»

აგერ ქალი, კაცისგან გარყენილი, კახაობს და ავაჭრებს თავის სხეულს დასაკმაყოფილებლად მამათა სქესის «ბუნებითის მოთხოვნილებისა». ამისთანა ქალთან კავშირი მამაკაცებს ბოროტებად როდი მიანჩნიათ; ზოგს კი საკვეცხრადაც აქვს ეს, ისე ვაწყვეტიათ შუბლის ძარღვი.

ქალი, რაკი მას ეს მოთხოვნილება არ აქვს, თუ ერთხელევე ისეთს ცხოვრებას დაადგა, ანუ გზა გაუმრუდდა, არღევეს და არღევეს თავისის არსებობის კანონებს და სჩადის ერთ იმ დანაშაულთაგანს, რომელთაც საზოგადოებური წეს-წყობილების მუხლები სასტიკად სჯის. ამისთანა ქალი მთლად მოწყვეტილია და გაცალკევებული საზოგადოებისაგან. თუნდაც მან ათასი სამადლო საქმე ქმნას და ორი-ათასი ქველმოქმედება აღასრულოს, მაინც ეს ცოდვა ისეთი ტლანქი და საზიზღარია, ისეთი სჯულზედ ხელადებულობაა, რომ მას იმედი აღარ აქვს მოტეგებისა და შეწყნარების, არათუ საზოგადოებისგან, თითქმის ყოველად სამართლიანის ღვთისგანაც კი.

(შემდეგი ოქნება).

ბ მ მ ს ს

(უძღვნი ბ. ა. წ—ს).

შენი სიტყვა, სხვის სიტყვაზედ ტკბილია, აზრი შენი სხვის აზრზედ მაღალია,

შენი მოთქმა, სხვის მღერაზედ ტკბილია შენი გული, სხვის გულზედა წრფელია.

შენი მუხა პოეზიის მეფეა, გრძნობით საესე ლექსთა მოიეფეა.

შენი გული საუნჯეა გრძნობისა, მამულისთვის თავგანწირვით შრომისა.

შენი ჰანგი ზეცით შთანაგონია, მისი სმენა გულის მომალხენია.

მაშ დაუკარ შენი ჰანგი საამო, და მით დაცხე სნეულს გულსა მაღამო.

ნუ გაშინებს ღენა, შური ერისა, გმობა-კიცხვა, ყმაწვილის თუ ბერისა.

მტკიცედ იდექ მაგ შენს წმიდა აზრზედა, გვიგალობე მაგ ზეციურს ჰანგზედა...

ქაიხოსრო გელოვანი.

ღარკება სოლერაზედ.

სოლერის დროს ადამიანს წკიეკად და ზომიერად უნდა იცხოვროს. განაჯარბებული ჭამა-სმა მკენებელია. რწმანათობით, კვირა დღის ქეიფს შექდეტ, უფრო მეტნი ხდებაან სოლმე ავად სოლერითა. ადამიანი ძლიერ უნდა ეჩიდოს ისეთს სსჯმელს, რამეღინ

მანქანაა გუგისთვის. უფრო სიფრთხილით უნდა მოიქცეს ის, ვინც გუგით ავადმყოფია. ძლიერ მავნებელია ხოლერის დროს; ხილი, მწვანელი, კიტრი, ბოლოკი, ნესკი, სუქანი ხორცი, დაუღუღებელი ღვინო. საჭმელი ძლიერ უნდა იყოს მოხარშული, ან კარგად შემწვარი. უოკვლგაკი საჭმელი, რომელიც მოუხარშავად და შეუწველად არის სახმარებელი, მაგალითად, უველი, კიტრი და სხვა. უკვკვლად სალიცილისა ან ლიმონის სიმუხით და შემდეგ სუფთა წყლით უნდა გაიკურნოს. რძე და წყალი უკვკვლად ადუღებული უნდა სვას კაცმა. წყლის სმას ცხელი ჩაის სმა სჯობია. ღვინო წითელი უნდა დალიოს, წყალ ნარკვი. ჭამის შემდეგ კარგია, რომ კაცმა 8—10 წვთი მარალის სიმუხვე დალიოს ადუღებულ წყლითა. საჭმელი შუშის ქვეშ უნდა იყოს შენახული ან ღებქით გადაფარებული, რომ მწერებმა არ წახდინონ. სადილსა და კახშამს შემდეგ ჭურჭელი ცხელი წყლით უნდა გაიკურნოს.

უზიკვლეს უოკვლისა საჭირთა სასუფთავე ოთახისა, ტანთ-საძმელისა, საცვლისა. ხოლერის დროს საშიშია ბეკის ხალხში იაროს კაცმა, მაგალ. ბაზარში და სხვა.

სახლებში, ეზოებში, ფეხის-ადგილებში საჭირთა დეზინფექციის მოხდენა.

ხოლერა სამკარად იჩენს ხოლმე თავსა.

1) ჩუმი ხოლერა. ავად გახდომის წამიდან 12 საათიდან 5 დღემდე გასტანს ხოლმე და ავადი მოსაჩხენია. ჩუმი ხოლერა იმითი შეეცეობა კაცს, რომ გუგის საჭმელს ძნელად ინელებს. ადამიანს სიცხეს ამლეკს, თავი სტკიავს და ავადართვის. თუ კაცმა რაღიანად მოუხარ თავს და იწამლა, 8—14 დღეზედ გასადება.

2) ხოლერინა. ადამიანი ერთბაშად ხდება ავად, უმეტეს შემთხვევაში, ღამე. ავადმყოფს ავადართებს და შიშიდან ასაქმებს, სიცხეს ამლეკს, მაჯა ნელა უცემს, მუდამ წუწრვილს კვძმობს, შარდი უმცირდება, მარღკება უდუნდება, კუნთი კეკრება, ხმა უსუსტდება. ხოლერინით სიკვდილი იშეათია. თუ თავის დროზედ და რიგინად იწამლა, ავადმყოფი 8—14 დღეს მარნება, ხოლო რამდენსამე კვირას ძლიერ სუსტად იქნება.

3) აზიის ნამდვილი ხოლერა. ეს ავადმყოფობა უფრო საშიშია, ვინც ორივე შიკველი. ამ დროსაც ადამიანს ავადართებს, შიშიდან ასაქმებს, მარღკება ეხუთება, სუნთქვა უძნელდება, შარდი კეკრება და სიცხე არ ნელდება. („იკვრია“.)

ახალი ამბები და შენიშვნები.

წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაათავრა 60 მოწაფემ. ამათში 33 მოწაფე იქმნა გაგზავნილ თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში.

* *

როგორც ოფიციალური ცნობებიდამ სჩანს, ბაქოსა და მის მიდამოებში ხოლერა ძლიერ მძვინვარებს. თბილისში დღემდის 9 მეტი არ გამხდარა ავად ხოლერით და ისინიც ბაქოდად მოსულლები არიან. ბაქოდად 44000 სულზე მეტი ხალხი გადაინიზნა სხვა-და-სხვა ადგილებში. ბაქოში დიდი უწვესობება ხდება თურმე ავადმყოფების მოვლაში და სხვა ადმინისტრაციულ განკარგულების შესახებ. სასურველია, რომ უველად დარიგება ხოლერის შესახებ, რაც კი იბეჭდება გაზეთებში, წაკითხულ იქმნეს საზოგადოების მიერ და აღსრულებული შეძლებისა-და-გვარად.

* *

გაზეთში გამოსაცხადებლად ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი მღვდლის ბესარონ გველესიანისაგან:

«მ. რ. მორჩილად ვთხოვთ თქვენი სასულიერო ყურნალის «მწყემსის» საშუალებით კვალითის წმ. ბარბარის ახლად აღშენებული ეკლ. კრებულის და მრევლთაგან გულათადი მადლობა გამოაცხადოთ ქვემო აღწერილ პირთ, რომელთაც შესწირეს ზემოხსენებულ ეკლ. სხვა-და-სხვა საჭირო ნივთები და ფულები: მახარობელ ცომაიამ 40 კ. ეკ. სასარგებლოდ და 1 თუმანი სანთლის ფასად, რომელიც თანხად ითვლება და მოგება კი ეკლესიის არის; სტაროსტა საჩინო ხუსკივადემ ეკლ. სასარგებლოდ 30 მ. და 50 მ. ადგილობრითი სამრევლო სკოლის სასარგებლოდ; ამ ფულით სყიდულ იქმნა მოწაფეების სტოლები, სკამები, საკლასო დაფა და სხ.; იოსებ შარვაძემ მეუღლით ახალი ბეჭდის სახარება 20 მანეთისა, ადგილობრითი მღვდლის მეუღლა ივლიტა გველესიანმა ტრანეზე გდასაფარებელი სტოლის ფარჩის ფარდა, ღირებული 5 მ.

სტაროსტა საჩინო ხუსკივადემ 15 მ. საწიფენ შკაფი და 1 მ. ფულად; მღვდლის მეუღლა ივლიტა გველესიანმა 2 მ., სტაროსტა მალხაზ გუნივამ 1 მ., სოლომონ სათანამ 1 მ., სოგრატ ხუსკივადემ 1 მ., ნიკოლოზ ბერის ძე ხუსკივადემ 40 კ., ტარია შარვაძემ სირბილადის ასულმა 1 მ., გიორგი ოდიკადემ 1 მ., ნიკო სოფრომადემ 40 კ., ამირან სოფრომადემ 30 კ., ნარიმან ხუსკივადემ 50 კ., ბაბუსია შარვაძემ 50 კ., გრიგოლ ხუსკივადემ 1 მ., ელიზბარ ხუსკივადემ 1 მ., როსტომ ხუსკივადემ 40 კ., აზ. ბიკტორ გუნცადემ 50 კ.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

დ ა რ ი მ ე ბ ა

ახადგელოზის დასვასა და თვალმის მოვლაზე.

(დასასრული *)

მოზრდილს ასაკში ხშირია თვალის საგრძნობლისა (ნერვის) და კუბოკრულის გარსის ავთამყოფობები სხვა-და-სხვა გესლებით სხეულის ხანგრძლივის მოწამელისაგან. ამისთანა გესლია მაგარი სასმელების ხმარების გადაჭარბება, თუთუნის წვეა და ათაშანგის სენით და მისთანებით სხეულის დაავადყოფება. ყველა ამ შემთხვევებში ხშირათ ისეთი ცვლილება მოხდება თვალის საგრძნობელში, რასაც მოხდევს მხედველობის ნელ-ნელა შესუსტება, და აქაც თუ თავითვე შესაფერი ზომის ან მიიღე, ავადყოფობა მატულობს და სხეულს მიგიჟუნს სრულს სიბრძნეამდე. ამგვარის დაავადყოფების ასაცილებლად მოსახდენია: რაც შეიძლება ნაკლებ მიღება ღვინისა, არაყისა და ცოტა მოწვეა თუთუნისა (თუ მთლათ მიტოვება არ შეგიძლიათ). ვისაც კი ეს ავადყოფობა უკვე სჭირს, — უნდა ხანგრძლივით და წესიერათ იაქიმოს და საზოგადოთ თვალებს დაუკვირდეს, თორემ ამ სენთან ხშირათ სხვაც თვალის ავადყოფობები ჩნდება, მეტადრე ანთებისებრი ხასიათისა (ანთება რქისებრის, ფერადის, საგრძნობლის გარსებისა); ამგვარ ანთებების ცხადი ნიშანია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ისინი შედარებით ადვილათ და კარგათ რჩებიან ათაშანგის წინააღმდეგის ზედმიწევნელი საშუალებებით.

§ 57. ახლან ხანში შესულ ასაკზე გადავიდეთ. ამ ასაკის ავადყოფობებში ჩვენ დავასახელოთ მარტო ორი: 1) კატარაქტა (რომელსაც ხალხი ეძახის თვალის ფრჩხილს, შიგნითა ბისტს) და 2) გლაუკომა (მწვანე წყალი თვალის სარკვეზე).

ბისტო ანუ კატარაქტა იჩენს თავს იმითი, რომ კაცი იწყებს თანდათან ცუდათ, უარესად და უარესად ხედვას; მხედველობა თანდათან უსუსტდება იმდენათ, რომ სხვილ საგნებსაც კი ახლო მანძილზე ვეღარ არჩევს. ბოლოს და ბოლოს ესეც აღარ შეუძლია და სხეულს მარტო სინათლის სიბნელისგან და ღამის დღისგან გარჩევალა შეუძლია. უფრო ხშირათ ეს ჯერ ერთს თვალზე ემართება კაცს, მერე მეორეზედაც; სიბრძნევე ნელნელა მატულობს: ზოგჯერ თევობათ, ზოგჯერ წლობით. თვალში ამასობაში ტკივილი არ არის, თითონ თვალა კი იცვლება შესახედავთ: გუგა, როგორც ყველამ იცის, მრთელს თვალეში ყოველთვის შავათ გამოჩანს; ბისტინი თუ არის თვალა, მაშინ აქვს თეთრი, რძის ფერი, ან მოყვითლ-მოთეთრო ფერი: თითქო გუგას აპკი გადაკერიაო. მეორე ავადყოფობის, გლაუკომის (წვანე წყალი თვალში) დროს აგრეთვე იწყება ნელ-ნელა მხედველობის დასუსტება; მაგრამ სანამ მის კლება დაიწყებდეს, უფრო ხშირათ აი რას გრძნობს ავადყოფი: როცა იგი სანთლის ალს უცქერის, მის გარშემო მუდამ ეჩვენება ნაპერწკლებს და ცისარტყელასებრი წრეები. თვალეშიც რომ ამოიფშენიტო ხელებით, ეს მოჩვენება მაინც არ გაქრება, როგორც ეს მოხდება ხოლზე მაშინ, როცა ქუთუთოებს ქვეშ ლორწო ჩადგება (უბრალო კატარაი თვალეების).

მერე კიდევ გლაუკომე ვისაც სჭირს, ხშირათ თვალეში გრძნობს ძლიერ ტკივილებს; თვითონ თვალს რომ ხელით შეეხო, მკერივად გეჩვენება; ზოგჯერ ქვასავით მაგარია. ავადყოფობა ჩნდება ჯერ ერთზე და შემდეგ მეორე თვალზე. *)

ორსავე ამ ავადყოფობას საექიმოთ სჭირდება აპერაცია, თვითეულისთვის სხვა-და-სხვანაირი; საჭიროა ამისთვის ვიცოდეთ ერთი თვისება: კატარაქტის (ბისტის) აპერაცია მაგდენათ მოსაჩქარებელი არაა; მხოლოდ, როცა, როგორც იტყვიან, «დამწიფდება», ე. ი. სანამ გუგას რომ გარსი აქვს გადაკრული (ამღერეული ჭვირა, ანუ ბროლი), იგი მთლათ არ დაბინდდება. გლაუკომეს (თვალის გაწყალებას) კი,

*) რამდენათ სახუმრო აღარაა ეს ავადყოფობა, ეს შემდგომი განხილვის დროს დიპლომის მიერ შეკრებილ ცნობებით (სიბრძნეის სტატისტიკა, მოსკოვს 1888 წ. გვ. 176) 9192 ორი თვალთ ბრძნეში 635 კაცი იყო ბრმა გლაუკომითი, ე. ი. 22 ნაარალი.

*) იხ. «მწიგნოსი»-ს მე-11 № 1892 წ.

პირიქით, რაც შეიძლება ადრე უნდა უყო აპერაცია, ავადმყოფობის დაწყებისთანავე. ამიტომაცაა, რომ ერთ ბრმა მოხუცს თუ ექიმი ურჩევს აპერაციასე მოსვლას ერთ თთვეს უკან, მეორეს ბრმას, ანუ დასაბრმავებელს, იგი ეუბნება ახლავე აპერაცია უნდა გიყოფო, თორემ შეიძლება მარჯვე დრო ჩაივლის და მერე აპერაცია ვეღარას უშველის. ამიტომაც დიდი უფერებაა ავადმყოფის მხრით, როცა იგი აპერაციას გადადებს ხოლმე, ან თითონ თავისის შეხედულობით ნიშნავს იმის ვადას. კეთილ-გონიერება ის არი, თუ ყოველი, სიბრმავეზე მიმდგარი, კაცი ვცდება ექიმს ეხვეწას, რაც შეიძლება, ადრე და აშკარადს შეაკვანებს მხოლოდ მაშინ, რაცა ექიმი აძლევს ამის ნებას.

ძნელია აქ ამ ავადმყოფობის დროს საჭირო აპერაციის შესახებ განმარტების მიცემა. ის კი უნდა დავასახელოთ, რომ კატარაქტის აპერაციას ზოგჯერ უშერებთან სოფლური ექიმები; კავკასიაში მეტად ბევრია ამისთანა აპერატორები თუ აქაურები, თუ სპარსელები; ათასში ერთხელ მათ, ალალობედზე, კარგათ მოუხდებათ ხოლმე აპერაცია, მაგრამ ბევრათ უფრო ხშირათ თვალებს აფუტებენ საუკუნოთ, რადგან აპერაციას ძალიან ტლანქათ და ბინძურათ უშერებთან. ჩვეულებრივათ, ეს აპერატორები თვალში გვერდით ჩხვლეტენ ნემსს, ანუ სადგისის წვერს, გაყოლებენ თეთრი აკვის, ანუ ბისტისკენ, განევენ, ანუ ჩამოწევენ ხოლმე დაბლისკენ. ამ სახით თავისს სამაგრებელს მოგლეჯილი ბისტი მაინც თვალშივე რჩება, დახამხამობს თვალის სითხეში და მუდამ აბღეზებს თვალს, რადგან ბისტი ზოგჯერ ქვიშასავით მაგარია. თვალი ამას ვერ უძლებს, ანთებაში ეარდება და თან და თან ბრმაედება. გარდა ამისა, ხელსაწყობის უსუფთაობით წყლულს ხშირათ გადაძლები ჩირქი ეცნება და ლზება, რაისა გამოც აპერაციას მაშინვე შეიძლება მოჰყვეს თვალის მოწყურება.

სამკურნალო აპერაციის დროს ბისტი სრულიად გამოკლილია თვალითგან ძალიან წმინდა-კი ხელსაწყობის შემწვობით, რომელთაც გულსმოდგინეთ გაასუფთაებენ ხოლმე, სანამ ხელს მიჰყოფენ აპერაციას.

ამ საშუალების წყალობით თვალს აღარ აბღეზებს მის ფოსოში მოძრავი მაგარი ნამცეცი. აპერაციის შემდეგ თვალი უნდა მოხანო სიმაალის ამცილებელი ნაზავით (ღვინფექცია, არ გადაძლებლად განდობა) და უნდა შეხვიო სუფთა სახვეელით.

§ 58. აქ ჩამოთვლილი თვალის ტკივილები ხან ერთს ასაკს მოსდევს, ხან მეორეს, მაგრამ ამაზე გარკვევითი კანონი არ არ არის დადგენილი: მაგ., თვალის ბისტი ზოგჯერ ბავშვსაც-კი ემართება და, პირიქით, ღურბლის ანთება ზოგჯერ დიდებსაც უწნდებათ. გარეშე ამისა, არის იმისთანა ავადმყოფობებიც, რომელიც ერთგვარათ ხშირია ხოლმე ყველა ასაკებში. დავასახელებთ ერთს თვალის სენს, რომე-

ლიც საშინელი რამ არის თავისი გადამდობით, სახელდობრ «ტრახამას». ეს სატიკიარი თავს იჩენს იმითი, რომ ჩნდება ჩალაც ხორცმეტი თვალის კაკლის დახურულის ქუთუთოების შიგნი პირზე. ეს ხორცმეტები ან გავს ცოტათ გამსჭვირვალე რბილ ბუშტებს, ან მაგარ მეტეკებს. ამ სენის მენებლობა ის არის, რომ ამ ხორცმეტების გამოისობით, ქუთუთოების სარჩული ხორკლიანდება, რისგამოც მუდამ ეხებება რქის ფერი, თვალის კაკლის, გარსი. ამითი ეს გარსი, წინეთ კამკამი და გამსჭვირვალე, ახლათანდათან იმღერევა, ფორაჯდება, იხორკლება, და მათი ძალიან ცუდათ იხედება. გარდა ამისა ხორცმეტები ხანს რომ მოათვეს, ქრება, მაგრამ სტოებს ნაკენკებს, რომლებიც, ასე ეთქვათ, მოფხუწვენ ხოლმე ქუთუთოებს. ქუთუთოების ქვედა, საწამწამე კიდეები შიგნისკენ წევრჩებებიან, წამწამები კი ისეთ მდებარებას მიიღებენ, რომ მუდამ ვეღისებიან თვალს და ეს მოძრაობა კი ძალიან შემაწუნებელია ავადმყოფობისათვის: ასე ჰგონია თვალში ხიწვები მაქვსო.

თვალეები ეცრემლება, რქის ფერი გარსები ემღერევიან თანდათან უარესათ და უარესათ და ამისდა შესაბამად მხედველობაც სუსტდება.

მე დავასახელე ეს ავადმყოფობა იმისთვის კი არა, რომ რჩევა მიეცე ვინმეს, როგორ უნდა უწამლო მას; ტრახამას ექიმობა შინაური საშუალებით შეუძლებელია, უეჭიოდ. მე ის მინდოდა მეჩვენებია თუ, როგორ გადაძლებია ეს ავადმყოფობა და როგორ მიუცილებელი საჭიროა სასტიკი ზომები გასაფრთხილებლად, რაიცა დამოკიდებულია ამისთანის თვალტიკივანის მონათესავეზე. ჩვეულებაა, ტრაქამას ძალიან ვრცელდება იქ, საცა ერთათ ბეკია კაცი ცხაკრახს: ჯაზანქში, შანსიანქში და მისთანქში. შენიშნულია ვერეთვე, რომ ტრაქამა უფრო ხშირათ და ძლიერათ ფებს იკიდებს ცუდას ჭკარ-განაავებულ სადგომებში, საცა ჭკარ დახშული და შესუთულია, საცა უსუფთაობა. ცუდა და ურკები საჭმლით საზრდოობა.

ამ სახით, თუ ექიმმა რომელსამე ავადმყოფს ტრაქამა ამოუჩინა, მაშინვე ავადმყოფს თანამდგურები და თითონ ავადმყოფიც არა თუ იმას უნდა ეცადონ, რომ არამც და არამც ავადმყოფს თვალითგან ჩირქი არ მიეცხოს მრთელებს (იხ. § 52), არამედ იმაზედაც კი უნდა იზრუნონ, რომ გააკოფონ მოწყობილობა და საზრდოობა ავადმყოფსაც და მრთელებისაცა ნაჩვენებისდაგვარად. *)

§ 59. ამ სატიკიერების მიმოხილვით ცხადია შემდეგი დასკვნა: დღითი დღიურ ცხოვრებაში ასეთი ნაკლები ყურადღება არ უნდა ეტყეოდეს ივალებს,

*) ამ მოკლე განხილვაში მე არ შევხებივარ ნახევარზე მეტ ავადმყოფებს; დავასახელე მხოლოდ უფრო შესანიშნავი სატიკიერები, რომელთ ექიმობას ეჭირება სწრაფათ ზომის მიღება. ანუ რომელიც შესახებ ხალხში გავრცელებულია უცნური შეხედულება, ხელის შემშლელი რიგიანი ექიმობისა.



მეტადრე სწეულ თვალებს, როგორც ახლათ, თითქმის ყველა ოჯახებში. გონიერის ზომებით უნდა შეინახოთ თვალების სიმართლე, გონიერულის ღონისძიებით უნდა მიეშველოთ სენების განკურნებას. არ შეიძლება ასე უღარდელათ თვალების მოპყრობა, არ შეიძლება ეს ასეთი უძვირფასესი გრძნობის იარაღი უსწავლელ ექიმბაშების ხელში ჩაეგდოთ. ყოველი კაცის ვალია, რომ ეს აზრი ჩაეგონოთ მღაბიო ხალხს. ამისთანა გავლენა ცოტა საშუალება როდია საბრძოლველად ჩვენი ასე გაერცვლებულს სიბრძნევითან. გამოანგარი მებუღია, რომ ჩვენს ქვეყანაში, კავკასიაში, ათი-ათასზე თუთხმეტი ბრმა მოდის. ისე თვალტყვიანი და ბეცი რამდენია, ეს კიდევ სხვაა.

VII. დ ს ს კ მ ნ ა.

(ბეცობა იმას გვიჩვენებს, რომ თვალებს რიგიანათ არ უვლით.—მოსწავლეთა თვალების გამოკვლევა—ბეცობა სწრაფად ვრცელდება მოსწავლე ბავშვებში).

§ 60. ამ «დარიგებაში» ჩვენ ვიგულისმოდგინეთ აგვეხსნა უმთავრესი მიზეზები, რაც თვალების მიენებელია. ამასობაში მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ, თუმცა გაძლიერებულის თვალის ტკივილის საექიმოდ ეს არ კმარა, მაგრამ სამაგიეროთ მას ხელთ აქვს ღონისძიება იმათ ასაცილებლად, თვალების სიხალიის და მათი ღონებრივი მხედველობის შესანახად. ეს საშუალებები საზოგადოდ გვიჩვენებ შემდეგს საზრუნავს: თვალები არ უნდა დაიჭინოთ განადაბეჭულის მატანობით; უფროსთა კარგა მომარტებით თვალები უნდა დაიკავო საშუალო საგნები; მატანობის დროს კარგი, გამგამი განათება იქონიოთ; თავის სწრაფად დაკავებას უნდა მიეხებოდნენ შემთხვევაში გამართულად ჯდომას.

ამ რჩევების სიძნელე მდგომარეობს იმაში მხოლოდ, რომ ვალდებულად გახდოდა თავისი თავი აღსარული ისინი მუდამ, ასე ვთქვათ, ყოველ დღე მათს აღუსრულებლობას, ადრე თუ მალე, მოსდევს თვალების დასწეულება, და ბეცობა არის პირველი ავადმყოფობა, შედეგი ამ კანონების დარღვევისა. ბეცობა არის ცხადი მიჩვენებელი იმისა, რომ მეტნიერების მოთხარნილება თვალების შესახებ არ სწუდდება, როგორც ჩავიან. ამისთანა დასკვნა მტკიცდება აუარებელის დაკვირვებებით; ყველაზე უფრო კი ამას ამტკიცებს მოსწავლეთა თვალების გამოკვლევა.

1861 წლიდან აქამომდე გამოკვლეულია, საერთო რიცხვით, ასი-ათასამდე მოსწავლეთების თვალები, უფრო საზღვარ გარეთ (ამ რიცხვში მარტო ერთმა ბრესაველი პროფესორმა კონმა გამოიკვლია ათი-ათასზე მეტი მოსწავლე).

მოსწავლეთები ეკუთვნოდნენ სხვა-და-სხვა სასწავლებლებს, სხვა-და-სხვა წოდებებს და სხვა-და-სხვა შეძლებისას. მაგრამ ყველგან, ყოველ ადგილებში და ყველა მკვლევარებმა იპოვეს ერთი და იგივე კანონი: რაც უფრო ცუდად მოწყობილია სახლი, რაც უფრო სუსტია კლასის განათება, რაც უფრო მოსაქმნება და სანტრეფია მატანობა მასში,—მით უფრო ბევრი ბეცი მოსწავლეთებია, მით უფრო მძაღ სხვის-სამდე მისწული ბეცობა.

ამ გამოკვლევებთან დამტკიცდა ისიცა, რომ ბეცების რიცხვი მატულობს იმდენად, რამდენ მეტწელიწადს დაპყროფს ხოლმე მოსწავლე სკოლაში, ე. ი. ზედა კლასებში უფრო მეტია. მოსწავლეთები მიდიან სკოლებში, უფრო ხშირათ, კარგის მხედველობით; მერე კი, რამდენისამე წლის განმავლობაში დატვირთულები კარგა დიდის შრომით, თვალებზე უზრუნველობით—ჯერ სკოლაში, რიგიანის მოუვლელობით, ოჯახში, ისინი ნელნელა იფუჭებენ თავის მხედველობას.

ნათქომის დასასურათებლად საკმარა მოვიყვანოთ ნაწყვეტები რუსულის გამოკვლევებითგან, რაც უფრო ახლოა ჩვენზე: 1870 წ. დოქტორმა თ. თ. ერისმანმა გამოიკვლია 4358 მოსწავლე 13 სხვა-და-სხვა სასწავლებელში ქ. პეტერბურგს (ამ რიცხვში მან იპოვა 1317 ბეცი!) გამოკვლეულ სკოლების ძირა კლასში აღმოჩნდა ბეცები ასში ოც-და-ათიდან სამოც-და-ორამდინ.

1871 წ. დოქტორმა ა. ნ. მაკლაკოვმა გამოიკვლია მოსკოვში 759 მოსწავლე. ბეცები აღმოჩნდნენ ქვედა კლასში 24%-მდე, ზედა კლასებში კი 43%-სამდე.

1877—1881 წლებში დოქტორმა მ. ი. რენმა გამოიკვლია თფილისის 8 სასწავლებელში 2222 მოსწავლე. ამ სკოლების ძირა კლასში ორთა შუა რიცხვით გამოდგა ბეცები ასში ექვსიდან ცამეტამდე, ზედა კლასებში 15%—70%-მდე.

ეს ციფრები ცხადათ გვეუბნებიან, რომ ბეცობა, თუმცა ნელ-ნელა ჩნდება, მაგრამ შედარებით ძალიან სწრაფად მატულობს: ბეცი მოსწავლეთების რიცხვი 6—8 წელიწადს (ქვედა კლასითგან ზედამდე) არა თუ ორკვდება, კიდევ ჭარბობს.

ამისთანა სისწრაფე ბეცობის გაჩენისა და გავრცელების საუკეთესოდ გვიღადადებს ჩვენ, რათა განუწყვეტილად და ყოვლის ღონისძიებით ვიზრუნოთ თვალების სიმართლის შენახვაზე.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მ. რედაქტორო! გთხოვთ განგვიმარტოთ: შეუძლია თუ არა მღვდლის ქვრივის გათხოვება?

თუ ვის შეუძლია ქალის თხოვა და ან ვის შეუძლია გათხოვდეს, ეს ცხადია არის განმარტებული ტიბიკონში და სხვა-და-სხვა დროს უწმ. სინოდისაგან გამოცემულ უქაზებში. მღვდლისა და ღიაკენის ქვრივის გათხოვების უფლება არ ერთმევათ, როგორც მღვდელობისაგან განკვეთილ პირს. მაგრამ იშვიათად ეხედვით, რომ მღვდლების ქვრივი გათხოვილიყოს. არ თხოვდებიან იგინი თავის სურვილისაებრ და არა მიტომ, ვითომ კანონი უკრძალავდეს მათ გათხოვებას. ცოტანი არიან თავადების ქვრივები, რომელთაც სასირცხოდ მიაჩნიათ მეორედ გათხოვება?

ი ს უ ი ლ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, ქუთაისში — «მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და ყვარალაში — თვით გამომცემელთან.

- 1) დარიგება საღვთო სჯულის სწავლა-ბაზელ, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო სადმართო სჯულისა სეკულარისა-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში — ფასი 30 კ.
- 2) იგივე დარიგება საღვთო სჯულის სწავლა-ზედ რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
- 3) საქართველოს სამკლესიო ისტორია ფასი უდით 45 კ.
- 4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. — ფასი 30—
- 5) ახალი კარაბაღინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საეპიმო რჩევისაგან. — ფასი 1 მან.
- 6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესწავლების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი — ფასი უდით 30 კ.

- 7) ახალი სასულირო კონსისტორიათა წესდებულა. — ფასი უდით 40 კ.
- 8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი, — ფასი 25—
- 9) გელათის მოწამარი და ცხოვრების აღწერილობა მამის დავით აღმაშენებლისა. — ფასი 25—
- 10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მოწამარი. — ფასი 5—
- 11) წმიდანი მღვდელ-მთავარი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე მოძროპირი, სურათებით — ფასი 5—
- 12) პირველი უფლისა, სურათით. — ფასი 2—
- 13) დიდ-მარხმის წინ, სურათით. — ფასი 2—
- 14) ხარება უკვლად წმიდა ღვთის-მომოგლისა სურათით — ფასი 2—
- 15) ბზობა სურათით — ფასი 2—
- 16) ალფომა სურათით — ფასი 2—
- 17) კონსტოლი პილატოს გულის წმიდანი სურათით — ფასი 2—
- 18) თავის გომარა ქალთან 5—
- 19) მამა სოლომონ ბრძენი სურათით — ფ. 5—
- 20) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა 2—
- 21) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი 2—
- 22) შიო-მღვიმის მონასტერა და ცხოვრების აღწერა დიასისა მამისა ჩვენისა შალისა სურათით — ფასი 5—
- 23) მიძინება უკვლად წმიდა ღვთის-მომოგლისა, სურათით — ფასი 2—კ.
- 24) აგალაშა პატიოსნისა და ცხოვრ-მყოფელისა ჯარისა უფლისა სურათით 2—
- 25) ღვთის-მომოგლის დავით — სურათით 2—
- 26) ტაძრად მიყვანება ღვთის-მომოგლისა 2—
- 27) მსთმარი სურათით. — ფასი 5—
- 28) წმ. მოწამე რაქმენი — სურათით ფასი 5—
- 29) ისო მისა ზირაქისა სურათით 5—
- 30) დაწყებითი გაკვეთილები საღვთო სჯულის სწავლაზე ფასი 15—
- 31) ცოცხადობა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის უდით) 30—
- 32) 1892 წ. სასულიერო და საერო სურათიანა კალენდარი 20—
- 33) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვადების მოვლაზე. — ფასი 10—
- 34) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული ჰომეა აკაკისა. — ფასი 5—